

საქართველოში 35 წდამდე ასაკში მამაკაცები ქალებს ჭარბობენ



სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურის [ანგარიშის](#) თანახმად, 2019 წლის 1-ერი იანვრის მონაცემებით, ქვეყნაში ქალების რიცხოვნობა წინა წელთან შედარებით 0.2%-ით შემცირდა და 1,932,656 განისაზღვრა. რაც შეეხება კაცების რაოდენობას, ეს მაჩვენებელი პრაქტიკულად

უცვლელია და მთლიანობაში 1,790,899 შეადგინა.

2019 წლის 1-ერი იანვრის მდგომარეობით, საქართველოში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელია 92.7 შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ 100 ქალებს 92.7 მამაკაცი მოდიოდა.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ 35 წდამდე ასაკში მამაკაცები ქალებს ჭარბობენ, ხოლო 35 წდიდან ზევით ქალების რიცხოვნობა აღემატება კაცებისას.

2018 წელს სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას კაცებში 69.7, ხოლო ქალებში 78.2 წელს შეადგენდა.

ანგარიშში მოცემულია დაბადების (51,138), გარდაცვალებისა (46,524) და ბუნებრივი მატების (4,614) შესახებ სტატისტიკაც.

2019 წლის 1-ერი იანვრის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკი 37 წელია.